ხელშეკრულება

შემოწირულობის შესახებ

ქ. თბილისი 10 მარტი 2015 წელი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ: ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "იავნანა" საიდენტიფიკაციო კოდი 205 019 727, ს.ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია " ცენტრალური ფილიალი, ანგარიშის ნომერი: GE49VT6600000039163608, **ბანკის კოდი: UGEBGE22** ქ. თბილისი, პეკინის (გამსახურდიას) გამზირი №28, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გურამ ახალაიას სახით, რომელიც მოქმედებს, ფონდის პრეზიდენტის, პაატა ბურჭულაძის მიერ 2007 წლის 01 ივნისს გაცემული მინდობილობით, (ნოტარიუსი–ეკა მსხილაძე, რეესტრში რეგისტრაციის № 1–3036) შემდგომში "შემოწირულობის (გრანტის)" გამცემი

და

მეორეს მხრივ: სსიპ –ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (ს.ნ. 205169592) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ლაშა ჯინჯიხაძის სახით, მისამართი : ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა, მიმღები ბანკი, სახელმწიფო ხაზინა, ანგ .№707087509, ბანკის კოდი TRESGE22, რომელიც მოქმედებს ორგანიზაციის დებულების საფუძველზე, შემდგომში "შემოწირულობის" მიმღები, ვაფორმებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "შემოწირულობის" გამცემი ამ ხელშეკრულების პირობების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთვის გადაურიცხავს "შემოწირულობის" მიმღებს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ თანხას, (შემდეგში "შემოწირულობა").

1.2 შემოწირულობის მიზანია, ფონდი "იავნანას" საქველმოქმედო პროექტების ფარგლებში გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე აღებული ვალდებულების შესრულება, რის საფუძველზეც ფონდი "იავნანა" მონაწილეობას მიიღებს "თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის გათბობისა და ცხელი წყლის სისტემის დამონტაჟების, კერძოდ პანსიონატის შენობის დათბუნებისა და გაზიფიკაციების სამუშაოების, ასევე სხვა ხარჯების დაფინანსებაში;

მუხლი 2 შემოწირულობა

2.1 შემოწირულობა შეადგენს 40000.00 ლარს (ორმოციათასი), რომელიც გამოყენებილი უნდა იქნეს ხელშეკრულების 1.2 პუნქთით გათვალისწინებული მიზნებისათვის

2.2

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 "შემოწირულობის" გამცემი ვალდებულია:

3.1.1 სრული მოცულობით გასცეს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული "შემოწირულობა", ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

3.1.2 კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.2 "შემოწირულობის " მიმღები უფლებამოსილია:

3.3.1 მოითხოვოს "შემოწირულობის" გამცემისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

3.5 "შემოწირულობის "მიმღები ვალდებულია

3.5.1 შემოწირულობა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების განხორციელებისათვის.

3.5.2 კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.6. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის ღირსებას, პატივს

და საქმიან რეპუტაციას.

მუხლი 4 მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1.1 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს

წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე

მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

4.1.2 იმ შემთხვევაში თუ "შემოწირულობის" მიმღები ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას "შემოწირულობის გამცემი" უფლებამოსილია დააყენოს საკითხი ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე და მოითხოვოს "შემოწირულობის" მიმღებისაგან გადახდილი თანხის დაბრუნება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნა დადგენილი

მუხლი 5 ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი არ შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებებით, კერძოდ – ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, საქართველოს მტავრობის, ცენტრალური ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებების შედეგად და თუ ამ ვითარებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ვადები გადაიწევს იმ პერიოდით, რა ხანგრძლივობითაც არსებობდა ასეთი ვითარება. თუ ასეთი ვითარება გაგრძელდა 2(ორი) თვეზე მეტი ვადით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება

5.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ზემოაღნიშნული გარემოებები ვალდებულია არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა 5.1 პუნქტში მითითებული მომხდარი გარემოებების დადგომის თაობაზე აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

5.3 იმ შემთხვევაში თუ გადაულახავი ობიექტური დაბრკოლებები გაგრძელდა 2 თვეზე მეტი ხნით, მაშინ მხარეები უნდა მივიდნენ კომპრომისულ ახალ შეთანხმებამდე

მუხლი 6 დავების განხილვის წესი

6.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან უთანხმოება გადაწყდება უპირატესად მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით

6.2 სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებით და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან იქცევა ბათილად, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს, თუ ხელშეკრულებაში დადგენილი იქნება მოწესრიგების ნაკლოვანება (ხარვეზი). ბათილი დებულების ნაცვლად ან ხარვეზის შესავსებად შეთანხმებული უნდა იქნეს მისაღები მოწესრიგება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მიზანსა და კანონმდებლობის მოთხოვნილებებს

ხელშეკრულება დადებულია 2015 წლის 10მარტს და მოქმედებს მის შესრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერა :

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)	ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო
მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და	საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“
დახმარების სახელმწიფო ფონდი	ს/კ 205019727
ს/კ 205169592	ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი	ბანკის კოდი: MIBGGE 22
ანგარიში	ა/ნ #GE97PC0133600100050184
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მის. თბილისი. პეკინის # 28
ბანკის კოდი – TRESGE22	ტელეფონი: 577442823
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707087509	
მისამართი: თბილისი, თამარაშვილის 15ა	
----------	_____
ლამა ჯიბლაძე	გურამ ახალაია
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	აღმასრულებელი დირექტორი

თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 2015 წლის 02 მარტი

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში ფონდი) და ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "იავნანა" (შემდგომში „იავნანა"), ერთად მხარეებად წოდებულნი, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და ფონდის ფილიალ „თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის" (შემდგომში „პანსიონატი") ბენეფიციართა (შემდგომში ბენეფიციარები) საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

- მემორანდუმის ფარგლებში იავნანა მონაწილეობას მიიღებს პანსიონატში გათბობისა და ცხელი წლის სისტემის დამონტაჟების, კერძოდ პანსიონატის შენობის დათბუნებისა და გაზიფიკაციის სამუშაოების, ასევე, სხვა ხარჯების დაფინანსებაში;
- იავნანა საჭირო ხარჯების დაფარვის მიზნით ფონდის ანგარიშზე ჩარიცხავს თანხას 40 000 ლარის ოდენობით, მათ შორის 2015 წლის 03 მარტს დაგეგმილი საქველმოქმედო ღონისძიებიდან შემოსული თანხებიდან;
- ფონდი განახორციელებს მემორანდუმით გათვალისწინებული ამოცანების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ღონისძიებებს;
- ფონდი უზრუნველყოფს იავნანასთვის მემორანდუმის ფარგლებში ფონდის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების გახარჯვის შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას;

მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარის/მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომელიც გაფორმდება წერილობით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმი შედგენილია და ხელმოწერილია „02“ მარტს 2015 წელს, ქ. თბილისში, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

ს/კ 205169592

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი – TRESGE22

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707087509

მისამართი: თბილისი, თამარაშვილის 15ა

ლაშა ჯინჯიხაძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“

ს/კ 205019727

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"

ბანკის კოდი: MIBGGE 22

ა/ნ #GE97PC0133600100050184

მის. თბილისი. პეკინის # 28

ტელეფონი: 577442823

გურამ ახალაია

აღმასრულებელი დირექტორი